ფასი 30 თეთრი

# ფანტაზია

№ 4
(75) 1998
10 თებერვალი

## ასთერთმეტ სიტყვიანი






ილუსტრირებული კროსგიგანტი!!!




საკროსვორდო ჩემპიონატი – მე-3 ტური
შეგახსენებთ, რომ
მე-3 ტურიდან თქვენ ჯერ კიდევ გაქვთ
უფლება ჩემპიონატში ჩართვისა!

სხვათა შორის და ამასობაში... „გაზეთობანას“ თამაშობაში...

## ჩვენი გაზეთი ორი წლის გახდა!

„ფანტაზიის“ შემდეგ ნომერს იხილავთ 23 თებერვალს

## ფანტაზიის გალერეა



Sandra Bullock

მე-12 გვ

## ANEKDOTOS

*სუპერთანამედროვე პრობლემატური ექსპრეს-ანეკდოტი*

ერთი მთიელი (*თქვენ დააკონკრეტეთ – რედ.*) დგას და ასფალტზე „COLGATE“-ს უსვამს.

– რას შვები, ჯოტო?! – გაიოცა გამვლელმა.

– ვუსვამ, რომ ღრმულე-ბი არ გაუჩნდეს!

*(დანარჩენი მე-4 გვერდზე)*

(მე-9 გვერდი)



## კროსვორდი და პოლიტიკა

## რა გვინდა ჩვენ პრესის საავანჩავანოზე?!

გასული ორი წლით მიღებულმა ინფორმაციამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი გაზეთის მკითხველები ძირითადად ის პიროვნებები არიან, რომელთაც ასაკმა საშუალება მისცა, რომ კომუნისტოიის ეპოქისათვის. დამახასიათებელი ნიშან-თვისებები მათს ცნობიერებაში საკმაო ინტენსივობით დალექილიყო. ასეთები ვართ ჩვენც და ამიტომაც გასაკვირი არ იქნება, თუ მკითხველის წინაშე საანაგარიშო მოხსენებით გვსურს წარვდგეთ.

...პრესაში კროსვორდებმა მოგვიყვანეს და მათივე წყალობაა, რომ აგერ უკვე 730 დღეა არსებობას ვინარჩუნებთ (თვარა ვის რად უნდა ჩვენი არასაკროსვორდო ბჟუტური ამ გადაბჟუტურებულ ქვეყანაში?!). ჩვენი მკითხველის ქებით, ალბათ, ჩვენც შევიქებთ თავს, თუ ვიტყვით, რომ „ფანტაზიის" მოყვარულთა შორის წარმოუდგენელია, რომ ერიოს ადამიანი, რომელმაც არ იცის, თუ რომის იმპერატორი ნერონი ვინ იყო. ჰოდა, ისიც ყველას კარგად მოეხსენება, რომ ის თავპატიჟა ნერონი მსახიობობაზე ოცნებობდა და იმპერატორის ტახტზე ბრძანებების გაცემას სცენაზე მონოლოგის წარმოთქმა ერჩია... აი, ესაა „ნერონის სინდრომი", როცა უარყოფ იმას, „რაცა ვის რაც ბედმა მისცა" და მწყერივით ტოტზე შემოჯდომა გწადია.

კროსვორდების კეთება, ავად თუ კარგად, რომ შეგვიძლია, ამაში, ალბათ, ყველა დაგვერწმუნება, მაგრამ იმასაც ყველა ხედავს, რომ ძალს ჩვენ ვართ და ძალს გაზეთის რეალიზატორები, რომ ნაირგვარი „ბჟუტურით" გადაპენტილი „ფანტაზია" შევაპაროთ მკითხველს, მაგრამ არ გამოდის ეს საქმე... ჩვენგან კროსვორდებს ითხოვენ

კაი, ბატონო, ასე იყოს!

# სინათლე გვირაბის ბოლოს!

### გახსენება

1979 წელს ერთი ჩვენი ცნობილი მომღერლის კონცერტს დავესწარით; მაშინ ერთი მისი სიმღერა ძალზედ პოპულარული იყო და, ბუნებრივია, აუდიტორიამ ამ სიმღერის შესრულება მოითხოვა; მანაც შეასრულა, ოღონდ შესავალში თქვა – იცით, როგორ მომბეზრდა ეს სიმღერაო... და ცოტა ხანში წავიდა და კინორეჟისორობა დაიწყო, მერე, მასობრივი პოლიტიზირებისას, პოლიტიკასაც გაჰკრა კბილი, არადა, ქართველები, კაი ხასიათზე რომ არიან, სწორედ იმ მობეზრებულ სიმღერას მღერიან...

ერთი სიტყვით, თურმე თაგვმა „თაგუნობა" არ უნდა იუკადრისოს!

ასე რომ, დღეიდან ოფიციალურად ვაცხადებთ: არ გვინდა, ბატონო ფრენა (...შემდგომი გადამურების პერსპექტივით) და ჩვენ ისევ კროსვორდების გაზეთად დავრჩებით და თუ სადმე რამე წავიბჟუტურეთ, ჩათვალეთ, რომ არ გინახავთ და ნუ წაიკითხავთ! სხვა წასაკითხის მეტი რაა ჩვენს პრესაში?! (შემდგომი კომენტარისაგან ძლივს ვიკავებთ თავს.



### თხოვნა

ერთს კი გთხოვთ, როგორც ახლა გვეხმიანებით, არა ფიჭური, არამედ ჩვეულებრივი სატელეფონო კავშირის საშუალებით, ნურც მომავალში მოგვაკლებთ ყურადღებას და კრიტიკას ნუ მოგვაკლებთ, კრიტიკას!

თუ არც იმას დაიზარებთ და არც კონვერტმარკებში დაგენანებათ ფული, წერილობით (თბილისი, 380003. ალექსანდრე ელერდაშვილს, მოკითხვამდე) გაგვიზიარეთ თქვენი შენიშვნები.

გთხოვთ!

*... და თუ იმის საშუალება მოგვეცა, რომ სადმე როგორმე თავშესაყრელი ადგილი გამოვნახეთ და ფანტაზიის და „ფანტაზიის" მოყვარულთა კლუბი ჩამოვაყალიბეთ, მაშინ „დავსხდეთ, ძმებო (...და დებო), დავიდგათ სამოვარი, ვსვათ ჩაი და ვისაუბროთ" კროსვორდებზე!*

*ვნახოთ რა გამოვა ამ საქმიდან!*

# კროსვორდისმთხზველის ეპიტაფია



დღედაღამე კროსვორდს ვადგენ
(სხვების კროსვორდს მე არ ვავსებ),
სიტყვას ზოგჯერ მოვძებნი და
შიგნით მაინც ვერ ვათავსებ,
როცა გული მიწვრილდება,
როცა ტვინსაც დავახავსებ,
ყველა ასოს დავწყევლი და
ყველა უჯრას დავანავსებ.

ეს კროსვორდი, ვაგლახ, არის
მაცდური და ბემურაზი,
ის თანდათან შეგიტყუებს,
ჯერ გეშლება ფიანდაზი,
მაგრამ რაღაც შეგეშლება,
ან ასო და ანდა ხაზი,
და შემვსები შეგაგინებს,
მოედება გულზე ბრაზი.

დღეს კროსვორდის
შემდგენად
ყველა იღებს ხელში კალამს,
მაგრამ, ვაჰ რომ,
მრავალ მათგანს
არ მივცემდი თუნდაც სალამს,
მათ ჰგონიათ, ერთ ასოზე
თუ გადაჭკვეთს, ვთქვათ,
„მზე" „ალამს",
მზად არიო და ქეიფში
არ იკლებენ მწვადს და წალამს.

მაგრამ, ვაჰ რომ,
საკროსვორდო
საქმე ძალზედ ძნელი არი,
შავ-თეთრ უჯრებს ვერ
ჩახლართავ,
თუ გონება ბნელი არი,
შეადგენ და კარვად მოჩანს,
გაწვალებს და მგელი არი...
კროსვორდს ცოდნა რომ
სჭირდება,
ეს ამბავი ძველი არი.

ჰოდა, ასე, ჩემო ძმაო,
კროსვორდს ვადგენ
დღით და ღამით,
(ერთ-ორ კაპიკს მეც ვშოულობ,
ოჯახს ვარჩენ, მგონი, ამით...)
გთხოვთ, თარაზულ
საფლავში რომ
ჩამაწვენენ დროით, ჟამით,
თქვენ, შვეულად მოარულნო,
გამიხსენეთ თუნდაც წამით!

ი/ს „ფანტაზია"
რეგისტრირებულია
ისნის რაიონის სასამართლოს მიერ
№7/1 – 1811
ალექსანდრე
და ვახტანგ
ელერდაშვილები
ტელ. 74-64-80
(გამოდის 1996 წლის 7 თებერვლიდან)

# რა ელის კაცობრიობას?





## უახლოესი პერსპექტივა

მომავალზე მოფიქრალ მეცნიერ-წინასწარმეტყველთა გარკვეული ნაწილი სრული სერიოზულობით ამტკიცებს იმას, რომ სულ მალე, უფრო ზუსტად — 2015 წლისათვის, დედამიწაზე არსებული ენერგორესურსები ამოიწურება და კაცობრიობას ამის გამოისობით სრული კატასტროფა დაემუქრება. ძნელია იმის მტკიცება, თუ უნავთობოდ და უატომოდ დარჩენილი ადამიანის მოდგმა გადაშენდება თუ არა, მაგრამ მისი რაღაც გარკვეული ნაწილი რომ ვერ შეეგუება აღნიშნული ენერგომატარებლებით მოგვრილ „სიკეთეების“ არქონას და უმანქანოდ თუ უელექტროენერგიოდ ნამდვილად გადაგვარდება, ეს, ალბათ, ყველასათვის ცხადია.

ასე რომ, იმ მარადიული პრობლემის წინაშე, როგორც ჩანს, სულ მალე აღმოვჩნდებით, რასაც დედამიწაზე არსებული თითქმის ყველა რელიგია უქადის თავის ერთგულ მიმდევრებს; ანუ — თუ არ დაემორჩილები უზენაესის ნებას, უცილობელი სიკვდილი გელისო... მაგრამ ისმის კითხვა — ნუთუ ყველა ეს სიკეთე, რასაც პირობითად „ნავთობი“ შეიძლება ეწოდოს, იმავე უზენაესის შექმნილი არ არის ჩვენს პლანეტაზე?!

ან იქნებ ეს („ნავთობი“), რომელიც წამლავს და სპობს დედამიწაზე არსებულ ოდინდელ იდილიას, ეშმაკისეული წარმონაქმნია და მის შექმნაში უზენაესს არანაირი მონაწილეობა არ მიუღია?!



.ასეა თუ ისე, ჩვენ აქ არ ვაპირებთ რწმენა-ურწმუნობის მარადიულ პრობლემაში ჩარევას, თუმცა ისიც ცხადია, რომ დედამიწის წიაღში არსებული რაღაც მარაგი ოდესმე ამოიწურება და ნამწვისა და გაზის სახით განიფანტება იმავე დედამიწის ატმოსფეროში... მერე?! მერე რას იზამს ის არსება, რომელსაც ჩვენს ენაზე ადამიანი ჰქვია და რომელიც, ჯერაც დაუდგენელია, მონაა ირგვლივ არსებული გარემოსი თუ მბრძანებელი.

მერე?!

პესიმიზმი არასოდეს ყოფილა ადამიანთა მოდგმის მთავარი თვისება და ამიტომაც უნდა განვაცხადოთ, რომ, ალბათ, გამოჩნდება რაღაც სხვა, თუნდაც კოსმიური ენერგია, რომელიც ადამიანს შეეშველება ადამიანობის შენარჩუნებაში. ამგვარი პერსპექტივა კი ნამდვილად არსებობს; მეცნიერთა გარკვეული ნაწილი, თითქმის გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამხელით, თვლის, რომ უკვე დღესაა შესაძლებელი ადამიანის ფეხის დადგმა მარსის ზედაპირზე, რაც პრაქტიკულად კაცობრიობის ისტორიაში ახალი ხანის დადგომა იქნება; არსებობს ყურმოკრული ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ოკეანისგაღმელთა კოსმოსურ ცენტრში რაზანია მზადდება საპლანეტათაშორისო ექსპედიცია, რომლის მთავარი მიზანი სწორედ კოსმიური ენერგიის მოპოვებაა. ამგვარი ფაქტის პროგნოზირება ნამდვილად აღარ არის რთული საქმე, რადგან დღეს თუ ხვალ ადამიანი აუცილებლად მიაღწევს უცხო პლანეტებს; საგანგაშო სხვა რამ არის, რაც უფრო ზნეობრივ ფაქტორებთანაა დაკავშირებული და „დედამიწის მონის თუ მბრძანებლის“ სულიერი გარემოს ცვლილებასთანაა დაკავშირებული.

## ოდნავ შორსაც გავიხედოთ

საგანგაშო კი ის გახლავთ, რომ ადამიანი მასობრივი კომპიუტერიზაციის გამოისობით სულ უფრო მეტად ემგვანება თავისსავე პირმშოს — კომპიუტერს, კარგავს კავშირს თავის ბუნებრივ ფესვებთან და ზნეობრივად უფრო მომართულ მანქანას ემგვანება, ვიდრე შემოქმედ სუბიექტს. აი, აქ კი ნამდვილად შეიძლება სასწორის გადახრა იმ მხარეს, რომ ადამიანი გარემოს მონაა და არა მბრძანებელი.

როგორც ჩანს, ენერგოკატასტროფული საფრთხე არცთუ ისე რეალურია, რადგან ყოველთვის გამოიძებნება ის რესურსი, რაც იმ პირობით „ნავთობს“ შეცვლის; მომავალი ასწლეულის განმავლობაში უფრო ის დაემუქრება „სამოთხიდან დევნილთა“ შთამომავლობას, რასაც ფსიქოლოგები პირობითად „გაუცხოების სინდრომს“ უწოდებენ და რაც საკუთარ საწყისებთან დაშორებას გულისხმობს.

არსებობს აზრი, რომ დედამიწის ერთადერთი გონიერი არსების ევოლუციური პროცესი განუწყვეტლივ მიმდინარეობს და გარკვეული ხნის შემდეგ შეიქმნება არსება, რომელსაც ძნელად თუ დაარქმევთ ადამიანს. მართალია, დღეს მაიმუნისაგან ადამიანის შექმნის დარვინისეული თეორია უარყოფილია (ჩვენთან მაინც), მაგრამ ჩვენ მაინც ამ თეორიის მხარდამჭერნი ვართ და ვფიქრობთ, რომ ისევე, როგორც მაიმუნისაგან წარმოიშვა ადამიანი, ადამიანისაგანაც რაღაც სხვა არსება უნდა წარმოიშვას... და ეს არის მთავარი საფრთხე ადანმიანისათვის, რადგან ეს სწორედ რომ მის გადაშენებას ნიშნავს.

...თუმცა ისიც საკითხავია, ჩვენ ამ მარადიული განვითარების პროცესის შეჩერება რომ შეგვეძლოს, ჩვენი შორეული შთამომავლობა ჩვენი მადლობელი კი იქნებოდა ამ დაბრკოლებისა გამო; სხვაგვარად რომ ვთქვათ — განა რომელიმე ჩვენთაგანი იტყვის იმას, რომ ჯობდა მაიმუნებად დავრჩენილიყავითო?!

**... ვითომ ეს ჩვენი თაობის პრობლემა არ არის?!**

**... ჩვენ ხომ გარანტირებული გვაქვს ადამიანებად დახოცვა...**

## ჰაი, მიხო!

მიხო ქუჩაში მოდის და მასზედ გაპიროვნებულ ნიანგს მოასეირნებს; შემოხვდა მიტო:

— ბჯოუ, მიხო, აქა ნიანგების სასეირნო ადგილი არ არის — უთხრა მეგობარმა (მიტომ) მეგობარს (მიხოს) წაიყვანე და ზოოპარკში ჩააბარე!

მეორე დღეს ისევ შეხვდა მეგობარი მეგობარს, რომელსაც ისევ თან ახლდა (მასზედ გაპიროვნებული) ნიანგი:

— წადი, გასწი აქედან!

— ხომ გითხარი, არა, ზოოპარკში წაიყვანე-მეთქი... არ წაიყვანე?

— ჰოუ, ზოოპარკში გუშინა მყავდა...

— მერე?

—დღეს კინოში მიმყავს...



შუაღამეა.

მიხო ლოგინში წრიალებს და ვერ-კი დაუძინია.

— რა მოგივიდა, გენაცვალე?! — ეკითხება მას ქმრის უქეიფობით შეწუხებუი მარო.

— ე-ე-ე-ჰ, დედაკაცო, ხვალ მიტოს ვალი მაქვს გადასახდელი 500 დოლარი და ეს ოხერი დოლარები კი ვერსად ვიშოვე, აღარ ვიცი, რა ვქნა?!

მარო მაშინვე წამოდგა, სწვდა ტელეფონის „ტრუბკასა“, მოტოს ცოლის დაურეკა და ეუბნება:

— გოუ, მაყვალ, ხვალა ჩემი მიხო ვალს ვერ გადაგიხდით, გაიგე?

მერე მოუბრუნდა მიხოს და ეუბნება:

— შენ დაძინე, მიხო გენაცვალე, ახლა მიტოს გაუჩნდა უძილობის მიზეზი.

## ჩემო ჭიჭიკია!

გაგანია ზაფხულში ჭიჭიკია „დუბლიონკით“ დაიარება ქუთაისში:

— რაია, ჭიჭიკია, გაგიჟდი?! — ჩაიხითხითეს ქუთათურებმა.

— მაქვს „ვაზმოჟნოსტი“ და არ გამევიყენო?!

● ● ●

— რაფერ ხართ, ჭიჭიკია, ოჯახში?!

— რაფრაც შენ გაგიხარდება!

— რავა — ამოწყდით თუ?!

● ● ●

ჭიჭიკიამ ცოლი თავისიანებში გაუშვა და იმ საღამოსვე იხელთა დრო და ერთი „იმნაირი“ ქალი სახლში მიიყვანა. შუა „საქმეში“ რომ იყვნენ, კარზე ვინცხამ დააკაკუნა; ადგა ჭიჭიკია, გააღო კარი და რას ხედავს — მისი ცოლი დგას იქ

— შენ ვინ ხარ, ქალო?!

— რავა ჭიჭიკია, ვერ მცნობ?! — შენი მარგალიტა ვარ...

— აბა, იქ ლოგინში ვინაა?!

# ხომ ძველი, ხომ ახალი

## ქვე-შენი ჭირიმე, დომენტი!

დომენტი შარაზე დგას, მას ვიღაც მიუახლოვდა და ეკითხება:

— ავტობუსმა ხომ არ ჩაიარა?

— კი ჩეიარა!

— დიდი იყო თუ პატარა?

დომენტიმ ახედ-დახედა უცნობს, მერე ამბროლაურის გზას გახედა, მერე ტყიბულისკენაც გაიხედა და მერე უპასუხა:

— შენ კი ჩაეტეოდი, ქვე-შენი ჭირიმე.

● ● ●

დომენტის ხელში ხურდა ფული უჭირავს, ათამაშებს და... აწკარუნებს და... თან იღიმება და... თან ამახანავს ეუბნება:

— რაჟიკუნა უტვინო, თუ მიხვდება, აქანა რამდენი ოცთეთრიანი მაქვს... (თან იღიმება და...)

— თუ მივხვდი, რას იზამ?

— ათივეს შენ მოგცემ.

● ● ●

დომენტის ბადე გადაუკიდია მხარზე და მო-ო-ო-დის და... მო-ო-ო-დის და... თან იღიმება და...

— სად იყავი, ბიჭო, დომენტი? — ჰკითხა ჩამვლელმა.

— კალმახს ვიჭერდი!

— რამდენი დაიჭირე?

— არცერთი...

— აბა, რა იცი, რომ კალმახს იჭერდი?!

## ვაჰ, სერგეი სერგეიჩ, შენც აქა ხარ?!

ერთხელ გოგიამ სერგოს გაშაყირება მოინდომა:

— სერგოჯან, ნახე, სპილო ხეზე ადის?! სერგომ ყურადღება არ მიაქცია.

გოგიამ ისევ გაუმეორა:

— სერგოჯან, ნახე, სპილო ხეზე ადის?! სერგომ ისევ არ მიაქცია ყურადღება.

გოგია არ დაშოშმინდა:

— სერგოჯან, ნახე, სპილო ხეზე ადის?!

— ვაჰ, ზნაჩიტ ბუდე აქვს!

● ● ●

— სერგოჯან, გაიგე — ვანოს კიბო ჰქონია!

— ვაჰ, კაცო, გუშინ „ასატრინა“ ჰქონდა, დღეს კიბო აქვს... ხედავ, რა შანსიანია!

● ● ●

სერგოს ნამტირალევი ცოლი, მარგალიტა, ეზოში გამოვიდა.

— რა მოხდა, მარგუშა, რა გატირებს? — ჰკითხა მეზობლის ქალმა.

— სერგო ლურსმანს აჭედებდა და თითში ჩაირტყა...

— მერე, შენ რა შუაში ხარ?

— მე გამეცინა...

● ● ●

ერთხელ კარგად ნასვამ-ნაჭამი სერგო და გოგია შინ გვიან ღამით დაბრუნდნენ. სერგომ გასაღები ამოიღო, ეწვალა, ეწვალა, მაგრამ ვერაფრით მოარგო კარს. გოგია ეუბნება :

— მაიტა, სერგოჯ-ჯ-ჯ-ჯ-ან, მე გავაღებ.

— არა, მე გავაღ-ღ-ღ-ებ, ოღონდ შენ სახლი დაიჭირე, ძალიანა ტოკავს.

● ● ●

— სერგო, სერგო, სეროჟჯან!

— ჰამე!

— გავიგე ფუტკრები მოგიშენებია?

— სწორედ გაგიგია.

— მერე, კამყოფილი ხარ, თაფლი თუ გაქვს?

— თაფლი არა მაქვს, მაგრამ ძალიან კამყოფილი ვარ

— ეგ როგორ?!

— მთელ მეზობლებს სულ დედა უტირეს, ორ-ორჯერ დაკბინეს!

● ● ●

სერგო სიკვდილის პირასაა მისული. მას თავზე ცოლი ადგას და დასტირის:

— ვაიმე, სერგო... ვაი, ვაი, ვაი... მე უშენოდ რა გამაძლებინებს აქა, სერგოჯან?! მეც მალე მოვალ შენთან, მალე მოვა-ა-ა-ლ შენთა-ა-ა-ნ-ა-ა-ა!... ვაი, ვაი, ვაი...

სერგო თვალს ძლივს ახელს და ლუღლუღებს:

— ნუ ი-ი-ი-ჩქარებ, მარგოჯან, ცოტა ხანი დამასვენე!



# აკონკაგუა

## მრისხანე ბომონი

*სამხრეთ ამერიკა*

*არავინ იცის, თუ საიდან წარმოდგა სიტყვა „აკონკაგუა“, თუმცა არსებობს ვარაუდი, რომ ამ ადგილთა მკვიდრი და*

# პატარა ამბები გუმბერაზთა შესახებ

*უძველესი აბორიგენების ენაზე სიტყვა „აკონ“ ნიშნავს ქვას, ხოლო „კაგუა“ მრისხანეს. ძველი ინდიელები ამ მთას ანდების მოდარაჯე ბომონად მიიჩნევდნენ და მისი პირველი დამპყრობნიც სწორედ ისინი იყვნენ, თუმცა მწვერვალზე ასვლა, როგორც ჩანს, მათ მაინც ვერ შეძლეს. ამ ფაქტის დასტურია თუნდაც ის, რომ ათიოდე წლის წინ 5000 მეტრის სიმაღლეზე ნაპოვნი იქნა პატარა ბიჭის მუმია; ეს ყმაწვილი ინკების სახელმწიფოს ზეობის ხანაში ცხოვრობდა და, ალბათ, აკონკაგუას დამლაშქრავთა შორის ერთ-ერთი პირველი იყო. მისი მუმია ჩვენს ეპოქამდე მთის მშრალმა ჰაერმა კარგად შემოინახა და ამ ფაქტმა მთელი სამეცნიერო სამყაროააფორიაქა, არგენტინის პრესა კი მთელი წლის განმავლობაში იკვლევდა აღნიშნულ ფაქტს.*

*1883 წელს გერმანელმა ალპინისტმა რაულ გუსველდმა სცადა დაეპყრო ანდების უმაღლესი მწვერვალი (6090 მ); იგი სანტ-იაგოდან წამოვიდა და მდინარე ვოლკანს აუყვა, მაგრამ ცუდმა ალჭურვილობამ და მარშრუტის არასწორმა შერჩევამ გერმანელ მთამსვლელს ხელი შეუშალა მიზნის მიღწევაში. 1897 წელს კი გერმანელი კოლეგის შეცდომები სრულად შეისწავლა ინგლისელმა ედვარდ ფიცჯერალდმა და აკონკაგუას კალთებს სამხრეთიდან მიადგა; სწორედ ფიცჯერალდმა შეძლო 1897 წლის 14 იანვარს პირველად დაედგა ფეხი ანდების „მრისხანე ბომონის“ უმაღლეს წერტილზე.*

*მას შემდეგ ასი წელი გავიდა და კიდევ მრავალმა ექსპედიციამ დალაშქრა სამხრეთ ამერიკის უმაღლესი მწვერვალი. აკონკაგუას შემოგარენი ჩილეს ეროვნულ პარკად გამოცხადდა და აქ ყოველწლიურად ორი ათასამდე ადამიანი ჩადის, რათა საკუთარი თვალით იხილოს ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი საოცრება...*

*ალპინისტთა აღწერის თანახმად კი თავად მწვერვალი წარმოადგენს ფრენბურთის მოედნის ოდენა პატარა სივრცეს, საიდანაც განუმეორებელი პეიზაჟი იშლება: ანდების მთათა გრეხილები ჩრდილოეთით და სამხრეთით ერთ განუწყვეტელ ჯაჭვადა გაჭიმული, დასავლეთით კი იშლება წყნარი ოკეანის უსასრულო ხედი... როგორც ჩანს, ალპინისტის ხიფათით აღსავსე ცხოვრება ღირს საამისოდ!*

# პართენონი — *საბერძნეთი*

# ელადის სასწაული

დღევანდელი პართენონი, თავისი დაფერფლილი სიდიადითა და გამიშვლებული კედლებით კვლავაც გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე. არეოპაგის კლდიდან რომ გამოხედო პართენონს, ის თითქმის არ ჩანს და ადამიანს ეგონება, რომ საერთოდ არ არსებობს, მაგრამ დამაბრმავებლად ქათქათა კუნძულების ფონზე მაინც ნელინელ იკვეთება გენიალური ფიდიასის მარადიული ქმნილება.

დიდოსტატთა ხვედრი, ალბათ, ასეთი ყოფილა:

უნდა შეეწირო შენსავე აგებულ ბომონს!

არც ფიდიასი გადაურჩა ასეთ ხვედრს და თანამედროვეებმა იგიც სასტიკად დასაჯეს მისი ქმნილების შეუცნობელი სიდი-



იადისა გამო; ფიდიასი ულვთოობაში დაადანაშაულეს და, მისი საბოლოო დათრგუნვისათვის არ ეყოთ რა ეს ბრალდება, მას ძვირფასეულობის ქურდობაც დასდეს ბრალად და თითქმის მთელი სიცოცხლე საპყრობილეში გაატარებინეს. მისმა პირმშომ, პართენონის ტაძარმა, კი 2000 წლით მეტხანს გაუძლო ადამიანთა უგნურებას, თუმცა 1687 წელს მასაც მიეწია კაცობრიობის ის განუკურნებელი ცოდვა, რასაც სიბრიყვე ჰქვია... ხმელთაშუა ზღვის დაყოფა-დანაწილებისათვის წარმოებული ბრძოლებისას ვენეციელთა ხომალდიდან ნასროლი ერთადერთი ჭურვი პართენონის სიახლოვეს განლაგებულ თურქთა დენთის საწყობს მოხვდა და იმხანად გაუგონარი ძალის აფეთქებამ თითქმის მთლად ჩამოაქცია ფიდიასის ქმნილების თაღები, რელიეფები და ფრიზები...

ძველი ელადის განუმეორებელი სასწაულის ნარჩენები კი მაინც დგას და ებრძვის ისტორიის ქარტეხილებს, როგორც დასტური ადამიანთა მოდგმის სიდიადისა და იმავ დროს სიმდაბლისა!

*ინდოჩინეთი*



# წყალუხვი მეკონგის სათავეებთან

მეცნიერთათვის და მოგზაურთათვის დღემდე უცნობი იყო ადგილი, საიდანაც სათავეს იღებს ინდოჩინელთა ყოფის ერთ-ერთი განმსაზღვრელი და აზიის ერთ-ერთი უდიდესი მდინარე – მეკონგი (4500 კმ). და აი, ფრანგმა მეცნიერმა მიშელ პესელმა ათდღიანო მძიმე მსვლელობის შემდეგ, რომლის განმავლობაში მას მოუხდა არა მარტო ტიბეტის მკაცრი ბუნების, არამედ საკმაოდ მტრულად განწყობილ აბორიგენთა წინააღმდეგობის დაძლევა, შეძლო მიეღწია იმ ადგილამდე, საიდანაც ორი პატარა ნაკადული გამოედინება და რომლის ზემოთ აბსოლუტურად მშრალი მიწა იყო. სწორედ აქ, 4975 მეტრის სიმაღლეზე, რუპ-სა-ლას უღელტეხილზე იბადება ის უდიდესი მდინარე, რომელიც თავისი სიუხვით ჩინეთის, ბირმის, ლაოსის, ტაილანდის, კამპუჩიისა და ვიეტნამის მრავალმილიონიან მოსახლეობას კვებავს .

საფრანგეთის სამეფო გეოგრაფიულმა საზოგადოებამ ეს აღმოჩენა განსაკუთრებულ მოვლენათა სიაში შეიტანა და მიშელ პესელი საგანგებო პრემიით დააჯილდოვა.

პლანეტა დედამიწაზე, როგორც ჩანს, კვლავაც ბევრი რამაა აღმოსაჩენი!

# კომბინირებული კროსვორდი



1 2 3

ცნობილი ლიტ. მეჩექმე

ძვ.ქალაქი შავ ზღვაზე

4

5

ფრანგი მწერალი

6 7 8

ერთგვარი სოკო

ხის ნარჩენი

იტალიელი კინორეჟისორი

9



10

ასე ვთქვათ, მეფრინველეობა

11

კიროსი, დარიოსი, ქსერქსე

12

აზიის სახელმწიფო

13 14 15 16

17 18

ხელზე მკითხაობა

19

რადიო-ელემენტი

20

აფრიკელი თხა

21

22

პატარა ტანის გოგონა

სიკვდილისწინა მდგომარეობა

23

24

25

გამარჯვე-ბული

26

მახარაშ-ვილი

სამკურნალო მცენარე

27



17. (შვ.) ერთგვარი თერმოსკალის შემქმნელი გერმანელი ფიზიკოსი.
18. სახელმწიფოებრივი სახესხვაობა.
19. (თარ.) ამა თუ იმ ქვეყნის შემადგენელი ნაწილი
(შვ.) ოსტრეოქონდროზის თანამდევი დაავადება.
20. მოსკოვის ყველაზე დიდი კინო-საკონცერტო დარბაზი.
21. წყლის სამგზავრო-სამხედრო ჭურჭელი.
22. წინასაინფარქტო დაავადება.
23. გენეტიკურად განსხვავებული სუბიექტების შეჯვარების შედეგი.
24. ხალისის მომცემი ანუ რა?
25. „ირინეს" ერთი კნინობითი ვარიანტი.
26. ყველაზე ცნობილი ქართველი ლიანა.
27. ჩვენთვის ერთობ ახლობელი ხე.

**თუ ვინმეს გააჩნია ორიგინალური კროსვორდები (...ან იდეები) და არ აქვს საშუალება მათი რეალიზებისა, ეგებ ჩვენ დაგვიკავშირდნენ?! ჩვენ მათ დავაკვალიანებთ, ან უბრალოდ შევიძენთ მათს ნააზრევს!**

1. წყალში მოარსებე მთამომავალი.
2. პურის ცხობისათვის აუცილებელი პროდუქტი.



3. ინგლისელი დრამატურგი

4. იგივეა, რაც მსგავსი.
5. XX ს. გვატემალელი მწერალი, მიგელ ანხელ...
6. (თარ.) თენგიზ არჩვაძის კინოპერსონაჟი.
(შვ.) იგივეა, რაც ამპარტავნობა.
7. სხა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეჭრა.
8. ვინ იყო ფილოსოფოსთა ენაზე მარქსი?
9. თხელი, დაწნეხილი ფიცარი.



11. ზღვაში შეჭრილი ხმელეთი.
12. რა არის ზოგჯერ მარგებელი?
13. რა არის კახელთა სიამაყე?
14. სიმღერის სახესხვაობა.
15. მუსლიმანთა რელიგიური ლიდერი.
16. ომში მოპოვებული ნადავლი.
17. (თარაზულად)

# კროსვორდი და პოლიტიკა - 2
















**თარაზულად**: 7. *იხილეთ და... იცანით!* 8. *ესეც იხილეთ და... ესეც იცანით!* 9. რა იყო კომუნისტისათვის კომუნისტური პარტია? 10. როგორი ტონი სჩვეოდათ კომუნისტებს? 12. გერმანელი ფაშისტის ზოგადრუსული სახელი. 13. ამიერკავკასიაში განლაგებული რუსული ჯარის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 14. როგორი ქალი ვერ გათხოვდება ვერასდროს? 15. ადამიანის ნარჩენი. 16. გასათხოვარი ინგლისელი ქალი. 19. გერმანიის ლიდერი. 20. რუსი (სხვა ვინ იქნებოდა, არა?!) დეკაბრისტი. 22. არჩილ სულაკაურის ზღაპარი-პიესა. 26. *იხილეთ და... ერთხელაც იცანით!* 27. *საბოლოოდ იხილეთ და... იცანით!* 28. ძველეგვიპტელთა ერთგვარი „ლენინი“.

**შვეულად**. 1. *ჩვენის აზრით, ამ ქალბატონის ცნობა უნდა გაგიჭირდეთ... ვითომ?!* 2. რა იყო პარტია მშრომელთათვის ზემოდან ქვემოთ დაწოლის გათვალისწინებით. 3. რა სჭირდება სახელმწიფოს მართვას? 4. მოსწავლის, ასე ვთქვათ, „კარცერი“. 5. თუ კაცი ჯიუტია, ვირი როგორიღაა? 6. როგორი ორგანო იყო (თუ ეგონათ) სკკპ? 7. როგორი თავი გავუხადეთ №8-ს? 8. უზბეკეთის ისტორიული ქალაქი. 11. ერთ-ერთი გაკომუნისტებული ქვეყნის დედაქალაქი. 16. რა გახდა ახლა ქალაქის საბჭო? 17. ახლა ამერიკაში მცხოვრები რუსი მსახიობი ქალი. 18. კომუნისტობას შესწრებული რუსი პოეტი. 19. კრემლის საათების შემადგენელი ნაწილი. 21. (გოსპოჟა) დავიდოვა – „სტახანოველი“ ლინგვისტი. 22. ეგზოტიკური სახელმწიფო ოკეანიაში. 23. კომუნისტების გამოისობით ერთ დროს სატალონედ ქცეული საკვები. 24. ვინ იყო რეიგანი კომუნისტური რეჟიმისათვის? 25. ხელოვნური წყალსატევი.

## შეადგინეთ კროსვორდი

*მოცემულია ანბანზე გაწყობილი სიტყვათა ის სრული რაოდენობა, რომელიც ქვემოთმოტანილ კროსვორდს მთლიანად შეავსებს, თუ, რა თქმა უნდა, საამისოდ გუნება-განწყობილება გაგაჩნიათ....*



ადილეა, აკაცია, ალათაუ, ამორძალი, არხი, აფთარი, ბანკეტი, ბარხატი, ბაჭია, ბოლონია, ბორნეო, ბრეტანი, ბრიკეტი, გუგა, დამოკლე, ერევანი, ერნო, ვერონა, იაგუარი, ისრაელი, იტალიელი, კაკადუ, ლალიონი, ლებარდე, ლეონიდე, მარაბუ, ობოლი, პეტიპა, პიჟამო, პინოქიო, პრიზმა, ჟერარი, რევერსი, რეკორდი, რუკა, სიმარდე, ფაცაცია, ქარგვა, ჩიტუნია, ცბიერი, ჭიჭიკო.




## საკროსვორდო მემატიანე

*ერთხელ ერთმა „პრეს-მენმა“ მითხრა – „საქართველო იყო პოლიტიზირებული, ახლა კი არის კროსვორდიზირებულიო“. ეს რომ მართლაც ასეა, ყველამ კარგად იცის, თუმცა ამის მიზეზს ჩვენი სახელოვანი სოციოლოგები და ფილოსოფოსები ჯერჯერობით არ იკვლევენ... (ალბათ, მომავალში მიუძღვნიან მას მთელ მონოგრაფიებს... ჩვენი სახელოვანი „ისინი“... ისინი რა... თავად მოგეხსენებათ!).*

*აი, კროსვორდიზირების ერთი მაგალითი:*

*– გვიან საღამოს გლდანის მიმართულებით მეტროპოლიტენით მგზავრობა მომიხდა; ჩემს წინ ბებია და შვილიშვილი ისხდნენ და ლამისაა თვლემდნენ; ერთ გაჩერებაზე პუტკუნა გოგონა შემოვარდა ათეთრიანი კროს–გაზეთებით დახუნძლული და ჩემი მოპირდაპირე მეზობლები ხმამაღალი ყვირილით გამოაფხიზლა.*

*– მაიტა, გოუ, ერთი „კრასვორდი“ – წამოიჩიტა შვილიშვილი და მეგაზეთეს ყველაზე მეტად ჩაშავებული „ათეთრიანი“ გამოართვა. მერე დიდხანს უცქირა, მგონი, გადაიკითხა კიდევაც და ბოლოს თავის წინაპარს მიმართა:*

*– ბაბო, აქა რა უნდა ჩავწერო?!*

*– მამაშენი ჩაწერე! (მე მივხვდი, რომ ეს ბაბო დედის მხრიდან ეკუთვნოდა დამწყებ კროსვორდისტს)*

*– რა უნდა ჩავწერო-მეთქი?! – ტონალობაზე შევატყე, რომ მამის გალანძღვა არ ეჭაშნიკა ბავშვს.*

*– აბა, მე რა ვიცი, შვილო, მაგეებისა?! – ახლა კი დაუყვავყორანა ბაბომ.*

*– ე-ე-ე, შენ კიდე არაფერი არ იცი, რა?! – თაობათა დაპირისპირების მარადიულ პრობლემას შეეხიზნა შვილიშვილი და... მე გავიფიქრე:*

**– Браво! В наших рядах пополнение!** *ანუ: კროსვორდიზირება გრძელდება...*

# კროუფ(ვ)ორდი



**თარაზულად:** 1. მისის სინდის ძირითადი სამოღვაწეო სივრცე. 5. რა გააჩნია მისის სინდის დამწყებ ტოპ-მოდელთან მიმართებაში? 11. ზნეობის მეცნიერება. 12. ტოპ-მოდელიორობის ეროტიული „კოლეგა“. 13. მამაკაცის სასიმღერო ხმა. 14. რჩეულთა წილხვედრი შინაგანი წვდომის თეორია. 17. აშშ-ს შტატი. 18. სამი ნაწილისაგან შემდგარი ფერწერული ნამუშევარი. 19. სხეულის მოხატვა. 20. ტოპ-მოდელისათვის საცოდნარი ხელოვნება. 22. დედამიწის წარმოსახვითი ხაზი. 24. მთიელთა სამოსახლო. 25. სინდის ერთ-ერთი ქმრის სახელი. 29. როგორი (მატყუარა) შეიძლება იყოს „მამრზე დაგეშილი“ ქალი? 34. დეფიციტობაგამოვლილი ენერგორესურსი. 35. ენტონი კუინის ბერძენი კინოპერსონაჟი. 36. რონალდოს საფეხბურთო ამპლუა. 37. რა აქვთ საერთო ბიჩერ-სტოუს და „ჩხიკვთა ქორწილს“? 38. პოეტური გამოცანა. 39. სალებავების გასაზავებელი სითხე. 41. სინათლის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში. 42. თანამედროვე რუსი მსახიობი ქალი. 43. როგორი კავშირია სასურველი სინდისთან სინდისთან (*სიტყვის გამეორება შეცდომა არ გეგონოთ – რედ.*) უმძრახად მყოფი დაოჯახებული მამაკაცისათვის? 44. იუდაიზმის ღვთაება. 45. ახალი სიტყვა. 47. დურგლის შრომის ნარჩენი. 49. სქელი ქსოვილი. 50. საბჭოური ნათურების ნათლია. 51. სახის ნაწილი. 52. სინდის თანამემამულე აბორიგენი.

**შვეულად:** 1. სპექტაკლისათვის – პრემიერა, ფირმისათვის – რა? 2. თანამედროვე ფრანგი მწერალი, ავტორი შუასაუკუნეობრივი ავანტურისტული რომანებისა. 3. სინდის კოლეგა, მშვენიერი (მისის) ტურმანი. 4. ძეირფასი ქვის სახესხვაობა. 6. რა გააჩნია ლამაზ ქალს საზოგადოებრივ ცხოვრებაში? 7. ძვ.რუსეთის არმიის სამხედრო ჩინი. 8. როგორი საზოგადოება ესწრება ხოლმე მოდელების ჩვენებას? 9. ჩვენებურად სათბური, ფრანგულად – რა? 10. ეშმაკის გამოისობით როგორია ქარი (როგორი?) ლადო ასათიანის ერთ პოპულარულ ლექსში? 15. მსახიობთა გარკვეული ნაწილის სამოღვაწეო სივრცე. 16. იქტიომტაცებელი. 21. როგორი ტაძარია სიონი? 23. ვარდისებრთა ოჯახის თავკანტურა მცენარე. 25. აგენტურის სპეციფიური სუბიექტი. 26. დიდი რუსი მსახიობი (ივანე მრისხანე, ალექსანდრე ნეველი, დონ კიხოტი და ა.შ). 27. თანამედროვე რუსი კინორეჟისორი. 28. ესპანეთ-პორტუგალიის მეფეთა მემკვიდრე. 30. შუა საუკუნეების იტალიელი კომპოზიტორი. 31. რა სიამოვნებს ყველა ქალს? 32. სანდრო ახმეტელის საეტაპო სპექტაკლი. 33. ერთგვარი ქაღალდების შემგროვებლობა. 34. რუსული ზღაპრების უარყოფითი პერსონაჟი. 40. აღმოსავლეთ საქართველოს მდინარე. 46. გასათხოვარი ინგლისელი ქალი. 48. ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსი მწერალი.

## გასული ნომრის პასუხები

(მეორე გვ.) ***ზემოთა*** 1. მაიაკოვსკი. 2. უჭკნობი. 3. უთავო. 4. ეკალი. 5. ქვა. 6. ორჯონიკიძე. 7. საბჭოთა კავშირი. 8. სტალაგმიტი. 9. კარნავალი. 10. ანდროპოვი. 11. ანანია. 12. გორბი. 13. როკვა. 14. ოსი. 15. გლოგორიჩი. 16. გიული. გაბროვო. 17. უარყოფა. 18. ოდერი. 19. ბორჯომი. 20. იარდი. 21. რაიკინი. 22. ალისა. 23. კოტკა. 24. ნარდი. 25. ოფოფი. 26. რეზისტორი. 27. ოშანინი. 28. ლატარია. ***ქვემოთა*** თარაზულად: 5. პრიზმა. 9. ნაპოლეონი. 10. ტვირთი. 11. რიბალკო. 12. მართვა. 13. სტახანოვი. 15. მიუსია. 16. ნოინი. 17. დოში. 18. სირაჯი. 21. პარაგვაი. 22. ნიშანი. 24. კოლუმბია. 25. აქლემი. 26. ისინდი. 27. აბაკელია. შვეულად: 1. ბაგრატიონი. 2. ტოლბუხინი. 3. ბერლინი. 4. ენდო. 6. რევმატიზმი. 7. ზარათუსტრა. 8. ამირანაშვილი. 14. ვარშავიანკა. 17. დიამბეგი. 18. სინჯარა. 19. რიშელიე. 20. დეკანი. 21. პოლუსი. 23. ნემსი.

(სუპერკროსვორდი) – კროსვორდის ჩარჩოს აკლდა უკიდურესი ვერტიკალური ხაზი, რაც ტექნიკის გაუმართაობამ გამოიწვია... მოგვიტევეთ! თარაზულად: 6. პასადენა. 14. შირაკი. 17. ქარწალებულნი. 18. მიუნჰაუზენი. 19. ესმერალდა. 20. კაკადუ. 21. ადლერი. 22. იასაული. 23. მედვედი. 24. ნეიჰაუზი. 26. გინეკოლოგია. 30. მამაო. 31. ინსცენირება. 34. ვარდენი. 36. ალვაძე. 38. ანუი. 39. პერიგეა. 41. ძარცვა. 42. ყბები. 48. ლიბერტი. 50. ბალანჩივაძე. 52. ტერორი. 53. მაკარტნი. 55. კავატინა. 56. იუნგი. 58. პატრიოტიზმი. 59. მოლიერი. 61. ლიტურგია. 63. რეხვიაშვილი. 65. ჭოკი. 67. სანთელი. 69. მალიორკა. 72. ბელურა. 74. სიმფონია 76. მატისი. 77. ილუსტრაცია. 78. ლებედი. 79. ბრიზი. 82. კუინჯი. 85. აკოცა. 86. ჩანტლაძე. 87. რეკეტი. 88. იზმირი. 89. ლაქშმი. 91. ნოკია. 94. ტროგლოდიტი. 95. უნიტარიზმი. 96. ინსბრუკი. 97. რადიანი. 98. ასტრახანი. 99. იდიოტი. 100. პრიმიტივიზმი. შვეულად: 1. კარდინალე. 2. მწვერვალი. 3. მღვიმე. 4. აბერდინი. 5. ფლორენცია. 6. პიერი. 7. სემინარია. 8. დერბი. 9. ნალია. 10. კუცი. 11. ლჰასა. 12. მუსუსი. 13. ბერიძე. 14. შიკოლონე. 15. როკოკო. 16. კადაფი. 18. მარზპანი. 25. იდენი. 26. გია. 27. ნავსი. 28. განგსტერი. 29. ავიაცია. 32. ნიცა. 33. ალბერვილი. 35. ქერჩი. 37. ძერა. 39. პუბლიცისტიკა. 40. როლანი. 43. ბიზანტია. 44. ლექავა. 45. პლაჟი. 46. სვია. 47. კრუზეირო. 48. ლიგურტი. 49. ტაიტი. 51. ძარღვი. 53. მამფორია. 54. მორავია. 57. იზვესტია. 58. პურიტანიზმი. 60. ლეიბი. 62. ურანია. 64. სამურაი. 66. მღერ. 68. ნიუ-იორკი. 69. მალინინი. 70. ლობაჩევსკი. 71. ოლდენბურგი. 73. ცინცინატი. 75. ნინოშვილი. 79. ბიკფორდი. 80. ინტრიგა. 81. წრიპინი. 82. კოლუმბი. 83. ხეპრე. 84. გრეგორ. 90. ბიძია. 91. ნაშა. 92. აურა. 93. აკრი.

ადგილის უქონლობისა გამო ე.წ კროუფ(ვ)ორდის პასუხებს ვერ ვბეჭდავთ... ჩვენ შუამდგომლობას გაგიწევთ მასთან (სინდისთან), რომ ეს ფაქტი არ იწყინოს...

## საკროსვორდო ჩემპიონატი

1. მონაწილეობა უნდა მიიღოთ 10-იდან 8 ტურში მაინც. 2. ერთი სწორი პასუხი ერთი ქულაა. 3. კოეფიციენტი დადგინდება ქულების რაოდენობის ტურების რაოდენობაზე გაყოფით. 4. საჩემპიონატო კროსვორდები გამოქვეყნდება ორ კვირაში ერთხელ. 5. პასუხები გამოგზავნეთ დროულად:

თბილისი, 380003, ალექსანდრე ელერდაშვილს, მოკითხვამდე.
ან მოიტანეთ მისამართზე:
„300 არაგველი“, გუთნის 10

### პირველი ტურის შედეგი

| | | |
|---|---|---|
| 1. | გაბრიელიძე იური | 100 |
| 2. | კუსრაძე ლიანა | 100 |
| 3. | ხაჩირაშვილი მარინე | 100 |
| 4. | გეგია მაია | 99 |
| 5. | ჩაჩანიძე ქეთევანი | 98 |
| 6. | მაისურაძე მანანა | 97 |
| 7. | კვირიკაშვილი დათო | 96 |
| 8. | ბუქლულაშვილი მანანა | 95 |
| 9. | ჯახველაძე ლია | 95 |
| 10. | ჩხეიძე ივანე | 94 |
| 11. | მეტრეველი გია | 89 |

### მეორე ტურის პასუხები

***თარაზულად:*** 16. ავინიონი. 17. როტერდამი. 18. ბულბული. 19. უკვე. 20. მოდერატო. 21. ამური. 22. ლაფსუსი. 23. ბალავერი. 24. ფერნანდელი. 26. რიკოვი. 27. სმოგი. 28. ანფისია. 31. სენტენცია. 32. მეტრი. 33. ჯოისი. 34. ცეცილია. 39. ვინ. 40. ჩიკორი. 41. აზნაური. 42. აკორდი. 43. კევრი. 46. ტაბუ. 48. პიკადორი. 50. კუთირი. 51. ნეონი. 52. იავა. 54. დიურენმატი. 56. ეკლერი. 58. ბრონტე. 60. მაგრამ. 63. გაბენი. 64. კულიბინი. 66. ჯიუტი. 67. პისტოლეტი. 70. ტიტიკაკა. 72. ხახვი. 73. მიკროსკოპი. 75. ხავსი. 77. ეგორ. 79. კვირია. 80. არაგვი. 82. კალჩო. 84. მესხია. 87. თაყვანისმცემელი. 90. ჯილი. 92. კარაბადინი. 95. შტრიხი. 96. დომინანტი. 97. ტუტსი. 98. მაჭახელა. ***შვეულად:*** 1. ევროპელები. 2. ინტერნეტი. 3. ჭონა. 4. კინორეჟისორი. 5. კროაცია. 6. სტიუარდესა. 7. პრეისკურანტი. 8. ნაძლევი. 9. ლიმფა. 10. აბდულმესიანი. 11. ალტინგი. 12. ბულბა. 13. კიპლინგი. 14. ხუნვეიბინები. 15. კვირაია. 25. ნუნცია. 29. გოლიათი. 30. ლენდროვერი. 35. კიგანი. 36. კურკური. 37. კოონენი. 38. ბროვკა. 44. დუარტე. 45. ჟიემატი. 47. ამირანი. 49. ოფენბახი. 53. ანგინა. 55. ანკლავი. 57. ლანჟი. 59. რეტრო 61. გოლუა. 62. წიწკვი. 65.ლახტი. 68. ტესტი. 69. შმაგი. 71. იაროვაია. 74. პროგრამა. 76. ძმაბიჭი. 78. გრანტი. 79. კონკია. 81. როლანი. 82. კოიოტი. 83. ლუკაია. 85. სალიხა. 86. ამანი. 88. სიდი. 89. ცემა. 91. იშვა. 93. ნული. 94. ვიშ.

# მესამე საკროსვორდო ჩემპიონატი გაზეთ „ფანტაზიის“ პრიზზე

**მესამე ტური (10–22 თებერვალი)** | **პრიზი გამარჯვებულისათვის – 100 ლარი**



კუპონი გამოგზავნეთ არაუგვიანეს 22 თებერვლისა

მონაწილის სახელი ______ გვარი ______

**თარაზულად**: 16. ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება. 17. ბრაზილიელი მწერალი (კომუნისტი). 18. ადამიანთა მცირე ჯგუფის გამაერთიანებელი ცნება. 19. **იხილეთ ფოტო**. 20. „გაჭირვების“ სინონიმი. 21. ცეცხლმსახურთა ქურუმი. 22. ხორბლის შესანახი მოწყობილობა. 23. დომინოს „ჩიხი“. 25. კანის ერთგვარი ავადმყოფობა. 26. ევროპის სახელმწიფო. 27. სავაჭრო ურთიერთგარიგების „კისერწასამტვრევი“ ფაქტორი. 28. აკუსტიკური ცნება. 33. მოსკოვის კონსერვატორიის ერთ-ერთი დამაარსებელი. 34. ცუდი განწყობილების სახესხვაობა. 35. დროის მანიშნებელი სიტყვა. 39. აშშ-ს შტატი. 40. შენობის კედელზე შემოვლებული არშია. 41. გარეგნობის თვალშიმოსახვედრი ეფექტი. 42. „დედამიწის ჭიპის“ მდინარე. 45. ენერგიიის „ბანკი“. 46. ქართული კულტურის მოამაგე, მწერალი, კრიტიკოსი, მთარგმნელი. 47. ნაბოკოვის რომანი. 48. თანამედროვე ფრანგი ფეხბურთელი. 50. ფრინველი, რომელსაც ჩვენ და ინგლისელებმა აზიის ორი სხვადასხვა სახელმწიფოს სახელი დავარქვით. 51. ღვთითბოძებული, მაგრამ ხშირად უარყოფილი თვისება. 52. მგლის ლეკვების პოეტური „ნაკრძალი“. 53. ნიუიორკის თეატრალური ქუჩა. 56. აჭარის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა. 57. ძველი რომაელების „ვალების წიგნი“. 58. დაეჭვებული კაცის საყვარელი სიტყვა. 59. ასაკთან „საქმემოგვარებული“, ანუ როგორი? 60. დურაჯების „საზომი ერთეული“, რუსთველის თანახმად. 62. **იხილეთ ფოტო.** 63. ქართველი მწერალი-ბელეტრისტი. 64. საქართველოს მდინარე. 65. ნარდის პარტიის არატრადიციული შედეგი. 68. **იხილეთ ფოტო**. 69. ქართული მინერალური წყალი. 70. რა უნდა სიყვარულს? 71. საჭადრაკო ცნება. 74. სპექტაკლ (სპექტაკლ!) „კავკასიური ცარცის წრის“ პერსონაჟი. 75. კურდღლის პოეტური „ციხე-სიმაგრე“. 76. როგორია ტირიფი ერთ პოპულარულ სიმღერაში? 77. ავტორი პიესისა „სისხლიანი ქორწილი“ 78. საქართველოს რაიცენტრი. 79. კომუნისტების საყრდენი ფენა. 80. რა აკლია კიურის? 81. ფინელი მძლეოსანი, რომელსაც ძეგლი დაუდგეს. 82. ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი და მწვრთნელი.










**ჩემპიონატში ჩართვა ჯერ კიდევ შეგიძლიათ! მაშ, ჩაერთეთ!**

**შვეულად**: 1. უკრაინელი დრამატურგი („ხსოვნა გულისა“ – დაიდგა მარჯანიშვილის თატრში). 2. გაზეთის რედაქციის თანამშრომელი. 3. ლათინელამერიკელთა სპეციფიური დანა. 4. მოძრავი კაცი, რომლის სამოძრაო საშუალებას გამოგონება აღარ სჭირდება. 5. როგორი თეორია იყო კომუნიზმი? 6. ასაკთანშერიგებული მამაკაცი. 7. (ბატონი) ცაიშვილი, შესანიშნავი ლიტერატორი. 8. ძვ.თოფის დასამზადებელი ნედლეული. 9. ბულგარეთის ლუდის ქალაქი. 10. საცხენოსნო გასართობის სახესხვაობა. 11. იგივეა, რაც არაკაცობა ძვ.ქალაქურად. 12. რა სახელობითი დღე აღინიშნება იანვარში? 13. თანამედროვეობის უძლიერესი ჩოგბურთელი. 14. გამამრავლებელი (გაიგე ახლა რომელია?!) 15. აშშ-ს შტატი. 24. საზოგადოებასთან მებრძოლი მთიელი ლიტ.პერსონაჟი. 27. დროის აღრიცხვის სახესხვაობა. 28. ქართველი კომპოზიტორი. 29. სტივენ სპილბერგისიელი ფილმის პერსონაჟი. 30. ქალაქი გერმანიაში (ა, თქვენ სარუკე საქმე!) 31. მოძრავი წყალი. 32. ვაჟასეული ნაწარმოების ეკრანიზაცია. 34. მეტყველების დეფექტის მქონე სუბიექტი. 35. (პანი) ტიშკევიჩი, მშვენიერი პოლონელი მსახიობი. 36. მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ყვავილი თოვლზე“. 37. მოგზაურთათვის განკუთვნილი ინვენტარი. 38. ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრის „ნათლია“. 41. თეთრი ფქვილისაგან გამომცხვარი პატარა რგოლი. 43. ამერიკული პრერიების ფრინველი. 44. სპარსულიდან შემოსული პოპულარული სახელი მამაკაცისა (წოდ. ბრ.) 46. ფრინველებზე სანადირო საშუალება. 48. როგორ მიმართავდა ვერიკო უშანგის ერთ-ერთ კლასიკურ მარჯანიშვილისეულ სპექტაკლში. 49. სპორტის ოლიმპიური სახეობა. 51. დიდი იტალიელი კინომსახიობი ქალი. 53. ჩვენი შავიზღვისპირა ქალაქის ძველი სახელი. 54. (გოსპოჟა) ივანოვა, ბულგარული ესტრადის მომღერალი. 55. ქართული სცენის ლეგენდარული მსახიობი. 57. (ბატონი) დგებუაძე, ქართველი მწერალი. 58. პრივილეგირებული საჯარისო შენაერთის წევრი. 59. თავისუფალი, შეიძლება ითქვას თავხედურიც კი... ანუ როგორი? (არაქართულად). 61. როგორი კაცი იყო თემურ ლენგი? (ჩვენი თვალთახედვით). 64. თანამედროვე ქართველი მოკრივე. 65. მცველი, დარაჯი, გამცილებელი... რუსთველის ლექსიკის თანახმად. 66. საურმე ინვენტარი. 67. რა შეასრულა შარდენმა ამიერკავკასიაში? (შარდენისავე ენაზე). 69. რუსი საბავშვო მწერალი, (გოსპოჟა) ბარტო. 70. დაეჭვებული კაცის კიდევ ერთი საყვარელი სიტყვა. 71. რის ნახტომია ცაზე „მიხატული“? 72. ქართველ კინემატოგრაფისტთა სასურველი კინოპრემია. 73. ერთგვარ ცხოველთა კოლექტივი. 75. სამიმდევრო პრეფიქსი.







# სანდრა ბალოკი

# ილუსტრირებული სუპერკროსვორდი

## მარცხნიდან მარჯვნივ:












**5**. **გთხოვთ ამოიცნოთ ფოტოზე გამოსახული პიროვნება! 11**. (ისევ) **გთხოვთ ამოიცნოთ ფოტოზე გამოსახული პიროვნება! 12**. ინდოეთის საამაყო შვილი. **13**. მსოფლიოს ერთ-ერთი საუნივერსიტეტო ცენტრი. **15**. ვინ ხდება კრიმინალური სუბიექტი? **16**. საქართველოს ერთ-ერთი რაიონული ცენტრი. **17**. (კიდევ ერთხელ) **გთხოვთ ამოიცნოთ ფოტოზე გამოსახული პიროვნება! 18**. ფირმა, რომელიც თავის სარეკლამო კამპანიაზე თურმე წელიწადში 4 მილიარდ დოლარს ხარჯავს (დეფისის გარეშე). **19**. რა უგია ყველას „თავისა გასაყოფელი"? **21**. ქალაქი, სადაც სპარტაკმა თავისი აჯანყება წამოიწყო. **22**. მეცნიერებას შეწირული დიდი იტალიელი. **23**. რა ჩამოჰქონდათ ჯარიდან კომუნისტობისას „სწავლას მოწყურებულ" ახალგაზრდებს? **26**. ვინ იყო გიორგი კუჭატნელი არსენასათვის... რომანის დასაწყისში? **29**. კაცი, რომელმაც 1867 წელს დინამიტი გამოიგონა, 1901 წელს კი საერთაშორისო პრემია დააარსა. **30**. რა ჰქვია სხვაგვარად ე.წ. „თოვლის კაცს"? **32**. რა შეიძლება მიეცეს დაზარალებულ პიროვნებას? **34**. მედიცინის მუშაკის სახესხვაობა. **37**. დანტე ალიგიერის მიერ „ღვთაებრივი კომედიისათვის" გამოყენებული სალექსო ფორმა. **39**. დედამიწის ბუნებრივი სარტყელი. **40**. ფრანგი პოეტი-სიმბოლისტი. **41**. განთიადისას მოსასმენი მუსიკა ძვ.თბილისში. **42**. ქალაქი მოსკოვის სიახლოვეს. **44**. ძველი სიმებიანი ინსტრუმენტი. **47**. (კვლავაც) **გთხოვთ, დახედეთ ფოტოს და გაიხსენეთ მის მიერ აღწერილი „თოვლიანი მთა"**. **50**. ფსიქიკაშერყეულისათვის დამახასიათებელი „მოვლენა". **51**. (კვლავინდებურად) **გთხოვთ ამოიცნოთ ფოტოზე გამოსახული პიროვნება! 52**. დიდი ესპანელი მხატვარი. **53**. ლეგენდარული ძველრომაელი ქალი, ცხრა შვილის დედა, რომელთაგან ერთ-ერთი, კალიგულად წოდებული, რომის იმპერატორი გახდა. **55**. ვინ იყო თითოეული მათგანი, ვისთანაც ნიკო ბაგრატიონს მოუხდა ცხოვრება. **56**. რა ცნება შეიძლება გაახსენდეს კაცს პაატას ხსენებაზე. **57**. ფრანგული კინოს ერთი პოპულარული მსახიობის სახელი. **58**. წარსულის ქართველი მოჭიდავე-კლასიკოსი, მსოფლიოს ჩემპიონი. **59**. შორეთის წარმოსახვითი ხაზი. **61**. „...სრუქტურის" წინ სათქმელი გაპოლიტიკურებული სიტყვა. **63**. ბარბაროსთა ტომი, რომელთა სახელიდან შეიქმნა იტალიის ოლქის, „ლომბარდიის", დასახელება. **65**. (მისტერ) რიდი... 1818-1883 წწ. **66**. მათემატიკას შეწირული ბერძნული ასო. **67**. პატარა კუნძული ეგეოსის ზღვაში. **68**. ქალაქი ჩინეთში. **70**. ამა თუ იმ სფეროს გავლენიანი პირი. **72**. მაცდუნებელი ჭრილი ქალის სამოსზე. **73**. ამა თუ იმ ეთნიკური ელემენტების იძულებითი დანაწევრების პოლიტიკა. **74**. სიმაღლის დასაპყრობი ინვენტარი. **78**. არაეთიკური მოძრაობა ხელის და თავის დაპირისპირებისას. **80**. აფრიკის სახელმწიფოს დედაქალაქი (დეფისის გარეშე) **82**. პოპულარული ქართველი კინომსახიობი მამაკაცი. **83**. ატომური ბომბის აფეთქების ერთ-ერთი „პროდუქტი". **85**. „მწვანე კონტინენტის" დედაქალაქ
**86**. რა „ყვავის" ახლა ჩვენს გარშემო? **88**. დამძიმებულად „მსუბუქი ყოფაქცევის" ქალბატონ
**90**. როგორი ...სპექტივაა დამახასიათებელი ძვ.ფილმებისათვის? **91**. ქალაქი და ტბა შვეიცარ
აში. **92**. ვამპირულ-ფანტასტიური ქმნილებების ხშირად აუცილებელი პერსონაჟი. **96**. ელექტრო
ენერგიის მწარმოებელი დანადგარი. **97**. კაცობრიობის უძველესი პოემა. **98**. ქალაქი რუსეთშ
**99**. როგორი „...ვარია" ჩეხეთში? **100**. არატრადიციული ქრისტიანი. **101**. იგივეა, რაც განლაგებ



## ზემოდან ქვემოთ:












**1**. (ერთხელაც) **გთხოვთ დახედოთ ფოტოს და ამოიცნოთ მასზედ გამოსახული პიროვნება**. **2**. თბილისის ერთ-ერთი კოლორიტული უბანი. **3**. შორს ხედვის საშუალება. **4**. ასე ვთქვათ, ხედვითი ბარიერი. **5**. მრავალწლოვანი ბალახი, რომლის ფორმა ხშირად ადამიანს წააგავს. **6**. სცენიური ქმნილების სახესხვაობა. **7**. ქალაქი გერმანიაში. **8**. უძველესი საწერი საშუალება. **9**. სეზონური სატრანსპორტო საშუალება. **10**. ომისშემდეგროინდელი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი. **14**. იგივეა, რაც სიახლე (ოღონდ არაქართულად). **17**. მსოფლიო ფეხბურთის უპირველესი ვარსკვლავი. **20**. ერთ-ერთი „სადედაენო" ფრინველი. **23**. სივრცეში სხეულის აღმომჩენი დანადგარი. **24**. „ეროვნულ მოძრაობას" შეწირული ქართველი ფილოსოფოსი. **25**. ქალაქი რუსეთში. **27**. ტექნიკური დანიშნულების ავზი. **28**. რა ჩაარტყა ერთხელ ვარსქენმა შუშანიკს თავში, როდესაც შუშანიკმა ჭიქა შეალეწა სახეში თავის მაზლისცოლს? **31**. კარგად დაათვალიერეთ „ფანტაზიის" ეს ნომერი და მასში წარმოდგენილი ერთ-ერთი ქალბატონის სახელი ჩაწერეთ აქ. **33**. ვინ არიან აკაკი ასათიანის მიმდევრები? **35**. კაცი, რომლის გვარი ავსტრალიის ერთ-ერთ კუნძულს დაერქვა. **36**. ჰიტლერის იტალიელი თანამზრახველის მეტსახელი. **38**. ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსი მწერალი. **43**. ქართველი მსახიობი ქალი. **45**. სოფელი საგარეჯოს რაიონში. **46**. სვანეთის კავკასიონის მწვერვალი. **48**. შუა საუკუნეების რელიგიური ომების სულისჩამდგმელნი. **49**. ხელოვნური „ადამიანი". **52**. იგივეა, რაც ფარდაგი, ოღონდ არაქართულად **53**. ერთი და იმავე თანხმოვნის გამეორება ლიტერატურულ ტექსტში. **54**. ამა თუ იმ პროცესისათვის დამახასიათებელი სიდიდე. **56**. კაცი, რომელსაც ჩვენს ბედს თითქმის ყოველდღე ვანდობთ. **59**. (ისევ და ისევ) **გთხოვთ დახედოთ ფოტოს და ამოიცნოთ მასზედ გამოსახული კომპოზიტორი**. **60**. მაძიებელი გონებისათვის დამახასიათებელი თვისება. **62**. ბავშვების ზრდისა და სქესობრივი მომწიფების დაჩქარება. **64**. ნორვეგიელი პოლარული მკვლევარი. **69**. ჩვენს ცხოვრებაში ბევრჯერ მოსული მე-11 სუბიექტი. **71**. (მორიგ ჯერზედაც) **გთხოვთ დახედოთ ფოტოს და ამოიცნოთ მასზედ გამოსახული მსახიობი**. **74**. იაპონური თეატრის სახესხვაობა. **75**. დიდი ზომის სამგზავრო დანიშნულების შეკვრა. **76**. (თითქმის უკანასკნელად) **გთხოვთ დახედოთ ფოტოს და ამოიცნოთ რა პროფესიისაა ეს პიროვნება**. **77**. არტურ კონან დოილის მიერ აღწერილი ერთი ძაღლის სამშობლო. **79**. ქალის სამოსის ფორმის სახესხვაობა. **81**. თბილისის „სპორტული" უბანი. **82**. ფილმი არნოლდ შვარცენეგერის მონაწილეობით. **84**. სიტყვიერი ზემოქმედების სახესხვაობა. **87**. (უკანასკნელად) **გთხოვთ დახედოთ ფოტოს და ამოიცნოთ მასზედ გამოსახული პიროვნება**. **89**. პერსონაჟი ქალი რომანისა „მთვარის მოტაცება". **92**. ალექსანდრე ყაზბეგისეული პერსონაჟი ქალი. **93**. იაპონელ ქალთა ცხოვრების ყოველდღიური ინვენტარი. **94**. საბერძნეთის ისტორიული რეგიონი. **95**. რა დაირქვა ერთმა ქართველმა ქალმა, ბიჭად რომ მოაჩვენა ყველას თავი?